

ଓରେଣ୍ଡା
NONFICTION

ლუდიუს ანაუს სენაკა

მორალური
წარილები
ლუპილიუსს

ლუციუს ანეუს სენეკა
მორალური ლერიტურული ლუკილუს

Lucius Annaeus Seneca
AD LUCILIUM EPISTULAE MORALES

ლათინურიდან თარგმნა გვანცა ფოფხაძემ



წიგნი გამოიცა მწერალთა სახლის და საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხარდაჭერით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-898-2

www.diogene.ge

1. სენია მიესალგება ლუკილიუსს

- [1] ასეც მოიქეცი, ჩემო ლუკილიუს – მოიპოვე თავისუფლება თავად შენთვისვე, გაუფრთხილდი და დაზოგე დრო, რომელიც უნინ წაგართვეს ან მოგპარეს, ან ხელიდან დაგისხლტა. დამერწმუნე, რომ სიმართლეს გწერ. დროის ნაწილს ძალით გვტაცებენ, ნაწილს შეფარვით გვპარავენ, ნაწილი ხელიდან გვეცლება, მაგრამ ყველაზე სამარცხვინო ის არის, რასაც ჩვენივე დაუდევრობით კვარგავთ. ყურადღებით დააკვირდი: ცხოვრების უდიდესი ნაწილი იფლანგება მაშინ, როცა ფუჭად ვირჯებით, მნიშვნელოვანი ნაწილი – მაშინ, როცა უმოქმედოდ ვართ და მთელი სიცოცხლე – მაშინ, როცა სხვა რამეზე ვართ მოცდენილი.
- [2] მიჩვენებ განა ისეთ ვინმეს, ვინც იცის დროის ყადრი, ვისთვისაც დღე ფასეულია, ვისაც ესმის, რომ იგი ყოველდღიურად კვდება? სწორედ აქ ვიტყუებთ თავს, როცა სიკვდილს მომავალში ვხედავთ, მისმა დიდმა ნაწილმა კი უკვე ჩაგვიარა. ჩვენი სიცოცხლის რამდენმა წელმაც განვლო, ყველა ხომ უკვე სიკვდილის კლანჭებშია მოქცეული. ისე მოიქეცი, ჩემო ლუკილიუს, როგორც მწერ: ხელიდან არ გაუშვა არც ერთი საათი. თუკი დღევანდელ დღეს მოიხელთებ, ნაკლებად დამოკიდებული იქნები ხვალინ-დელზე. გადადება-გადადებაში ცხოვრება ჩაგიქროლებს.
- [3] ყველაფერი, რაც გვაქვს, ლუკილიუს, ჩვენ არ გვეკუთხნის. მხოლოდ დროა ჩვენი. ბუნებამ ფლობისთვის გვიბოძა მხოლოდ ხელიდან გამსხლტომი და ცვალებადი დრო, მაგრამ მა-

საც გვართმევს ის, ვისაც მოუნდება. მოკვდავთა უგუნურება ასეთია: როდესაც ისესხებენ რაღაც უმნიშვნელოს, მდარესა და ადვილად ჩასანაცვლებელს, ვალად ალიარებენ, მაგრამ დროს თუ დაუთმობ, ამისთვის თავს მოვალედ არავინ მიიჩნევს, არადა, ეს ერთადერთია, რასაც მადლიერი ადამიანიც კი ვერ აგინაზლაურებს.

- [4] შეიძლება იკითხო: თავად როგორ ვიქცევი, როცა ამ მითითებებს გაძლევ? გულწრფელად ვალიარებ: როგორც მფლანგველმა, მაგრამ დაკვირვებულმა ადამიანმა, ვიცი, რამდენი დავხარჯე. ვერ ვიტყვი, რომ დანაკარგი არ მაქს, თუმცა იმის თქმა მაინც შემიძლია, რამდენს ვკარგავ და როგორ. ჩემი ხელმოკლების მიზეზებსაც დავასახელებ: მეც იგივე დამემართა, რაც იმ ადამიანთა უმეტესობას, რომლებიც უკმარობამდე თავიანთი ბრალეულობით არ მისულან – ყველა მიბოდიშებს, მაგრამ შეწენა არავის შეუძლია.
- [5] მერე რა? ლარიბად არ მიმაჩნია ის, ვინც იმითაც კმაყოფილია, რაც შემორჩა, თუმცა, ვამჯობინებ, შეინარჩუნო ის, რაც შენია და ათვლის წერტილად ხელსაყრელი დრო შეარჩიო, რადგან, ჩვენი წინაპრების სიტყვებით რომ ვთქვათ, ფსკერზედა რომ დარჩება¹, მაშინ მომჭირნეობა გვიანია. ის, რაც ძირშია, არა მარტო ძალზე ცოტაა, არამედ – ყველაზე მდარეც.

იყავი კარგად.

1 აფორიზმი ამოლებულია ცნობილი ბერძენი პოეტის, პესიოდეს (ძვ. წ. VIII ს.), პოემიდან „სამუშაონი და დღენი“ (369). სენეკა ამ აფორიზმით იწყებს და წესადაქცევს, რომ ყოველი წერილი ბრძნული შეგონებებით დასარულოს.

2. სენია მიესალმება ლუკილიუსს

- [1] ის, რასაც მწერ და რასაც თავად ვისმენ, შენდამი დიდ იმედს მოჩენს. შენ არ დახეტიალობ და გარემოს შეცვლით სიმშვიდეს არ კარგავ. უთავბოლოდ წრიალი ხომ სნეული სულის ხვედრია. დალაგებული გონების უპირველეს ნიშან-თვისებად ერთ ადგილზე დამკვიდრებისა და საკუთარ თავთან დარჩენის უნარს მივიჩნევ.
- [2] ოღონდ დაუკვირდი: მრავალი ავტორისა და ნაირგვარი წიგნების კითხვამ მერყევად და ზერელედ არ გაქციოს. უნდა დასჯერდე მხოლოდ ზოგიერთ მოაზროვნეს და მათგან მიიღო სულიერი საზრდო, თუკი გსურს, დაგრჩეს ის, რაც გონებაში სამედოდ დაივანებს. ვინც ყველგან არის, ის არსადაა. მას, ვინც ცხოვრებას ხეჭიალში ატარებს, მასპინძელი ბევრი ჰყავს, მაგრამ მეგობარი – არც ერთი. ასე უეჭველად მოუვა მათაც, ვინც არც ერთ ავტორს გულმოდგინედ არ გაიაზრებს, არამედ გაკვრით და ზერელედ კითხულობს ყველას.
- [3] საკვები სასარგებლო ვერ იქნება² და ორგანიზმიც ვერ შეითვისებს, თუ მას ჭამისთანავე ამონათხევ. არაფერი აფერხებს გამოჯამრთელებას ისე, როგორც წამლის ხშირი ცვლა. იარაპირს ვერ შეიკრაგს, თუკი მასზე სხვადასხვა სალბუნს გამოდიან. მცენარე ვერ მოძლიერდება, თუკი მას ხშირად გადარგავენ. აჩქარება ყველაზე სასარგებლოსაც კი უსარგებლოდ აქცევს. წიგნების სიმრავლე მხოლოდ დაგაბნევს, ამიტომ რო-

² სენია თავისი მორალური მოძლველების მხარდასაჭერად მრავალ ფიზიკურ ანალოგიას მიმართავს, მათ შორის – საჭმლის მონელებას, როგორც საკვების ენერგიად გადაქცევის საშუალებას.

ცა არ შეგიძლია წაიკითხო ყველაფერი, რაც გაქვს, დასჯერდი იმდენს, რამდენის წაკითხვასაც შეძლებ.

- [4] „მაგრამ, – შემედავები, – თუკი მსურს, ხან ერთი წიგნი გადავშალო, ხან მეორე?“ გამიზეზებული კუჭით ადამიანი ბევრ რამეს სინჯავს, მაგრამ განსხვავებული და მრავალფეროვანი საკვები კი არ ანაყრებს, არამედ ანუხებს. ამიტომ აღიარებული ავტორები წაიკითხე და თუკი ოდესმე სხვაზე გადართვას მოისურვებ, შემდეგ ისევ მათ მიუპრუნდი. ყოველდღე ისაგზლე რაღაც – სიღარიბის, რაღაც – სიკვდილის და რაღაც – სხვა ძნელბედობათა წინააღმდეგ. როცა ბევრ რამეს თვალს გადაავლებ, აირჩიე ერთი, რასაც იმ დღეს აითვისებ.
- [5] თავადაც ასე ვიქცევი – მრავალი წაკითხულიდან რომელიმე ერთს ვიმახსოვრებ. აი, მაგალითად, დღეს ეპიკურესთან³ წავაწყდი (მტრის ბანაკში⁴ შესვლას არ ვთაკილობ, არა როგორც მათ მხარეს გადაპარული, არამედ როგორც მზვერავი): „საპატიოა დალხენილი სიღარიბე“.
- [6] მართლაც, რაღა სიღარიბეა, თუკი დალხენილია. ლარიბია არა ის, ვისაც ცოტა აქვს, არამედ ის, ვისაც მეტი უნდა. განა სულერთი არ არის, რამდენი რამ აქვს გადანახული სკივრსა თუ ბელელში, რამდენ პირუტყვეს მწყემსავს და რა დანაზოგს აგროვებს, თუკი სხვის ქონებას არის დახარბებული, თუკი ითვლის არა იმას, რაც შეიძინა, არამედ იმას, რაც სურს, შეიძინოს? შენ იკითხავ: როგორია სიმდიდრის საზომი? ჯერ ერთი, გქონდეს ის, რაც აუცილებელია და მეორეც – გქონდეს იმდენი, რამდენიც საკმარისია.

იყავი კარგად.

³ ეპიკურე (Epicurus) სამოსელი (ძვ. ნ. IV-III სს.) – ანტიკური ფილოსოფიური მატერიალიზმის ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი. მისი ფილოსოფია ეფუძნებოდა ბუნების მეცნიერებებს, ხოლო ეთიკაში იგი ჰედონიზმს მისდევდა. მისი აზრით, ადამიანის ცხოვრების მიზანია სიამოენება, მაგრამ არა მარტო ტებობა, არამედ ფიზიკური ტკივილისა და სულიერი ტანჯვისგან გათავისუფლება.

⁴ სენეკა ეპიკურეიზმს სტოიკიზმის მოქმედების იდეოლოგიად აღიქვამს.

3. სენექა მიესალგება ლუკილიუსს

- [1] მწერ, რომ ჩემთვის გადმოსაცემი წერილი მეგობარს გამოატანე, შემდეგ მირჩევ, შენთან დაკავშირებით ყველაფერი არ გავუზიარო, რადგან ამის კეთება თავად არ გჩვევია. გამოდის, ერთსა და იმავე წერილში მას მეგობარსაც უწოდებ და ამას კიდეც უარყოფ. მაშ, თუკი ამ სიტყვას იყენებ ფართო გაგებით (და არა – საკუთრივ მისი მნიშვნელობით), მსგავსად იმისა, როცა ყოველ კანდიდატს⁵ „კეთილშობილ ადამიანს“ ვუწოდებთ, ან როცა „ბატონოთი“ მივმართავთ ვიღაც შემხვედრს, თუკი მის სახელს ვერ ვიხსენებთ, დე, იყოს ასე.
- [2] მაგრამ თუკი მას, ვისაც მეგობრად მიიჩნევ, ისე არ ენდობი, როგორც საკუთარ თავს, მნარედ ცდები და სათანადოდ არ გესმის ჭეშმარიტი მეგობრობის ძალა. მართლაც მეგობართან ერთად უნდა გაერკვე ყველაფერში, მაგრამ უნინარესად – თავად მეგობარში. ენდე, როცა დაიმეგობრებ, განსაჯე, სანამ მეგობრად გაიხდი. ის, ვინც, თეოფრასტეს⁶ რჩევა-დარიგების წინააღმდეგ, ჯერ შეიყვარებს ვინმეს და შემდეგ განსჯის, იმის მაგივრად, რომ ჯერ განსაჯოს, შემდეგ შეიყვაროს, ადრე და გვიან საკეთებელს ერთმანეთში ურევს. დიდხანს იფიქრე, უნ-

⁵ სახელმწიფო თანამდებობის მაძიებელი ქველ რომში. იცვამდა ქათქათა ტოგას (ტოგა კანდიდა, აქედან – კანდიდატი).

⁶ თეოფრასტე (ძვ. წ. IV-III სს.) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, არისტოტელეს მოსწავლე, მეგობარი და მისი მემკვიდრე ლიკუშში.

და მიიღო მავანი მეგობრად თუ არა, მაგრამ რაკი გადაწყვეტს, მეგობარი მთელი გულით შეითვისე და ისე თამამად ისაუბრე მასთან, როგორც საკუთარ თავთან.

- [3] იცხოვრე ისე, რომ არაფერი გქონდეს დასამალავი არც საკუთარ თავთან, არც – მტერთან, თუმცა ვინაიდან არსებობს რაღაც, რისი საიდუმლოდ შენახვაა დაწესებული, ყველა შენი საფიქრალი და საზრუნავი მეგობარს მაინც გაანდე. თუკი მას ერთგულად მიიჩნევ, ასეთად აქცევ კიდეც. ლალატის შიშით ზოგიერთი მეგობარს ლალატს ასწავლის და ეჭვიანობით თავისავე წინააღმდეგ უმსგავსობის ჩადენის საბაბს აძლევს. რატომ უნდა შევიკავო სათქმელი მეგობართან? მასთან ყოფნა რატომ არ უნდა წარმოვიდგინო საკუთარ თავთან ყოფნად?
- [4] არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც პირველივე შემხვედრს უყვებიან იმას, რაც შეიძლება მხოლოდ მეგობარს გაანდო და ნებისმიერ ყურს საკუთარი გულისწუხილით ამძიმებენ. სხვებს, პირიქით, ეშინიათ, გაენდონ ყველაზე ახლობელსაც კი და, შესაძლებელი რომ იყოს, საკუთარ თავსაც არ ენდობოდნენ და რაც შეიძლება ღრმად დაიმარხავდნენ გულში ყოველგვარ საიდუმლოს. არც ასე შეიძლება მოქცევა, არც – ისე. მანკიერებაა ორივე – ენდო ყველას და არავის, თუმცა პირველს უფრო კეთილშობილურ მანკიერებას ვუწოდებდი, მეორეს – უფრო უსაფრთხოს.
- [5] ამრიგად, გაკიცხვას იმსახურებენ ისინი, მუდმივად რომ შფოთავენ და ისინიც, მუდამ მშვიდად რომ არიან, რადგან ფაციუცის მოყვარეობა გულმოდგინება კი არ არის, არამედ აფორიაქებული სულის ბორგვაა. მეორე მხრივ, ყოველი მოძრაობა კირთებად აღიქვა, ნიშანია არა უშფოთველობის, არამედ – სიზარმაცისა და სიზანტის.

- [6] ეს მიბიძგებს, გავიხსენო ის, რასაც პომპონიუსთან⁷ წავაწყდი: „ზოგიერთი ისეა შეყუული ბუნაგში, რომ საგნებს სინათლე-ზეც ბინდბუნდში ხედავს“. ყველაფერი თანაზომიერი უნდა იყოს: ნაჯაფმა ადამიანმა უნდა დაისვენოს, ნასვენებმა – საქ-მე აკეთოს. ბუნებას დაეკითხე: ის გეტყვის, რომ დღეცა და ღამეც მისი შექმნილია.

იყავი კარგად.

⁷ შეიძლება იგულისხმებოდეს პომპონიუს სეკუნდუსი, სენეკას თანამედროვე ტრა-გიკოსი პოეტი, ან ლუკიუს პომპონიუსი, პირველი საუკუნის კომედიოგრაფი.

5. სენეპა მიესალგება ლუკილიუსს

- [1] გაქებ და მიხარია, რომ გულმოდგინედ სწავლობ და რომ ყველაფერს განზე სწევ, რათა მისდიო ერთ მიზანს – ყოველდღიურად უკეთესი გახდე. ასე გააგრძელე. არა მხოლოდ მოგიწოდებ, არამედ გთხოვ კიდეც. ოღონდ გაფრთხილებ: ნუ მოიქცევი იმის მსგავსად, ვისაც უნდა არა სრულყოფა, არამედ ყურადღების მიპყრობა. ისე ნუ იზამ, რომ შენს ჩაცმულობაში ან ცხოვრების წესში რაიმე თვალშისაცემი იყოს.
- [2] უხეში სამოსელი, გაუკრეჭავი თმა, მოუვლელი წვერი, ვერცხლეულის აშკარა სიძულვილი, მინაზე დაგეპული ლოგინი და თვითგამოხატვის სხვა უკულმართი ფორმები თავიდან აიცილე. საკმარისია თავად ფილოსოფიის ხსენებაც კი (როგორ მოზომილადაც უნდა მისდევდნენ მას), არაკეთილმოსურნეობა რომ აღძრას. რა მოხდება, თუკი ადამიანთა წეს-ჩვეულებების-გან განცალკევებას დავიწყებთ? დაე, შინაგანად ვიყოთ ყოველშერივ განსხვავებული, გარეგნულად კი ჩვენი ხალხისაგან არ უნდა გამოვირჩეთ.
- [3] ნუ იქნება ჩვენი ტოვა⁸ ბრწყინვალე და ნურც ჭუჭყანი. ნუ იქნება ჩვენი ვერცხლის ჭურჭელი ოქროთი მოვარაყებული, მაგრამ ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ ვერცხლისა და ოქროს სიმცირე ზომიერების მტკიცებულებაა. ხალხის მასაზე უკეთ უნდა

⁸ მამაკაცის მოსასხამი ანტიკურ ეპოქაში.

ვიცხოვროთ და არა – მათთან დაპირისპირებით. სხვაგვარად დავაფრთხობთ და ჩვენგან გავაქცევთ მათ, ვისი გაკეთილშობილებაც გვსურს. იმას მივაღწევთ, რომ ჩვენ მსგავსად მოქცევა აღარ მოუნდებათ იმის შიშით, რომ ყველაფერში უნდა მოგვბაძონ.

- [4] უპირველესი, რასაც ფილოსოფია გვასწავლის, არის ყველას მიმართ თანაგრძნობა, ადამიანობა და თანამოაზრება, მაგრამ განსხვავებულობის წარმოჩენა ამას დაგვაშორებს. დავუკვირდეთ, რომ ის, რითაც აღტაცების გამოწვევა გვსურს, სასაცილო და საძულველი არ იყოს. ჩვენი⁹ მიზანი ხომ ის არის, ბუნებასთან თანხმიერად ვიცხოვროთ, ბუნებას კი ენინაალმდეგება, გატანჯო საკუთარი სხეული, სისუფთავეზე ხელი აიღო, მიისწრაფოდე სიბინძურისკენ და არა მარტო მდარე, არამედ საზიზღარი და ამაზრზენი საკვები მიიღო.
- [5] როგორც ფუფუნებისკენ ლტოლვაა განცხრომის ნიშანი, ისე უგუნურების ნიშანია იმის თავიდან არიდება, რაც საყოველთაოდ მიღებული და იოლად ხელმისაწვდომია. ფილოსოფია მოითხოვს ზომიერებას და არა – თვითგვემას. შესაძლებელია, ზომიერება ულაზათო სულაც არ იყოს. აი, როგორ საზომს ვირჩევ: დაე, ცხოვრება გაწონასწორებული იყოს კეთილ და საყოველთაო ზნე-ჩვეულებებს შორის. დაე, აღტაცებით შეჰყურებდნენ ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ ის მათვის უცხო არ იყოს.
- [6] „ეს როგორ? ნუთუ ჩვენც ისე მოვიქცევით, როგორც სხვები? ნუთუ არ იქნება განსხვავება ჩვენსა და მათ შორის?“ იქნება და ძალიან დიდიც. დაე, მან, ვინც უფრო ახლოდან გვაკვირდება, იცოდეს, მასისგან როგორ განვსხვავდებით. დაე, ჩვენს სახლში შემოსული გაოცდეს ჩვენით და არა – ავეჯეულობით.

⁹ სენეკა ხშირად მოიხსენიებს სტოიკოსთა სკოლას მრავლობით რიცხვში.

ის ადამიანია დიდი, რომელიც თიხის ჭურჭელს ისე მოიხმარს, როგორც ვერცხლისას. არც ის არის მდაბალი, ვინც ვერცხლის ჭურჭელს ისე იყენებს, როგორც თიხისას. ვერ გაუმკლავდე სიმდიდრეს – ძაბუნი სულის ნიშანია.

- [7] მაგრამ ნება მომეცი, დღევანდელი მცირედი შენაძენი გა-გიზიარო. ჩვენს ჰეკატოსთან¹⁰ აღმოვაჩინე, რომ სურვილე-ბის ზღვარდადება შიშისგან განკურნებასაც უწყობს ხელს, „შეწყვეტ შიშს, – ამბობს იგი, – თუ შეწყვეტ იმედოვნებას“. იკითხავ: „როგორ შეიძლება ასე განსხვავებული მოვლენები ერთდროულად ხდებოდეს?“ მაგრამ ასეა, ჩემო ლუკილიუს. მართალია, გვეჩვენება, რომ მათ შორის საერთო არაფერია, მაგრამ ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. როგორც ერთი ჯაჭვი აკავშირებს ტუსალსა და მცველს, ასევე ეს ორი რამ (ერთმანეთისგან ესოდენ განსხვავებული) წინ ერთად მიიჩნევა: შიში კვალდაკვალ მიჰყვება იმედს. მე ეს არ მიკვირს – ორივე მათგანი გაურკვევლობაში მყოფ სულს ახასიათებს, რომელიც მომავლის მოლოდინში შფოთავს.
- [8] ორივეს უმთავრესი მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენ არ ვართ აწმყოსთან მორიგებული და გულისთქმას შორეულ მომავალ-ში გადავისრით. ასე რომ, წინასწარჭვრეტა – ადამიანთათვის ბოძებული უდიდესი სიკეთე, ბოროტებად გვექცევა.
- [9] მხეცები საფრთხის დანახვისას გარბიან და მისგან გაქცეულე-ბი შიშს ვეღარ გრძნობენ, ჩვენ კი მომავალიც გვტანჯავს და წარსულიც. ბევრი ჩვენი სიკეთე გვაზიანებს კიდეც. მეხსიერება გვაპრუნებს შიშით განცდილ ტანჯვასთან, წინასწარჭვრეტა კი მომავალში მოელის მას. არავინაა მხოლოდ აწმყოთი უბედური.

იყალი კარგად.

¹⁰ ჰეკატო (ჰეკატონი) – როდოსელი ფილოსოფოსი, სტოიკოსი.

6. სენეკა მიესალგება ლუკილიუსს

- [1] ვგრძნობ, ჩემო ძვირფასო ლუკილიუს, რომ არა მხოლოდ უკეთესი ვხდები, არამედ გარდავიქმნები კიდეც, თუმცა პირობას არ ვდებ და არც ვიმედოვნები, რომ ჩემში აღარაფერი დარჩა შესაცვლელი. რა თქმა უნდა, ბევრია, რის გამოსწორება, შემცირება თუ მატება საჭიროა, ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ჩემი სული შეიცვალა უკეთესობისაკენ, რომ მას შეუძლია დაინახოს საკუთარი ნაკლოვანებები, რომელთა შესახებაც უნინ არაფერი იცოდა. ზოგიერთ ავადმყოფს ისიც უნდა მიულოცო, რომ გრძნობს თავის ავად ყოფნას.
- [2] მინდა, ჩემი ასეთი სწრაფი ცვლილება შენც გადმოგეცეს. მაშინ უფრო ვენდობი ჩვენს მეგობრობას – ჭეშმარიტ მეგობრობას, რომელსაც ვერ დაამსხვრევს ვერც იმედი, ვერც – შიში, ვერც – ანგარება, რომელსაც ადამიანები სიკვდილამდე ინარჩუნებენ და რომლისთვისაც სიკვდილს ეგებებიან.
- [3] ბევრს გაჩვენებ, ვისაც აკლდა არა მეგობარი, არამედ მეგობრობა, თუმცა ეს არ შეიძლება მოხდეს, როდესაც სულებს ერთნაირად მოუხმობს ნება, ღირსეულისკენ სწრაფვაში გაერთიანდნენ. სხვაგვარად როგორ იქნება? მათ ხომ იციან, რომ ყველაფერი საერთო აქვთ, განსაკუთრებით – გასაჭირო.
- [4] ვერც კი წარმოიდგენ, როგორ ვამჩნევ, ყოველ დღეს ცვლილება რომ მოაქვს. იტყვი: „მეც გამომიგზავნე ის, რის სარგებლიანობაც თვითონ გამოსცადე“. თავადაც მსურს ყოველივე შენში გადმოვადინო და რამის სწავლა მახარებს იმიტომ, რომ სწავ-

ლება შევძლო. ვერაფერი მომანიჭებს სიამოვნებას, როგორი აღმატებული და სასარგებლოც უნდა იყოს, თუკი მის შესახებ ცოდნას მხოლოდ საკუთარ თავს შევძენ. ჩემთვის სიბრძნეც რომ ეჩუქებინათ იმ პირობით, რომ ჩამეცეტა და არავისთვის გამეზიარებინა, მასზე უარს ვიტყოდი. თანაზიარობის გარეშე არავითარი სიკეთის ფლობა არ არის სასიხარულო.

- [5] ამიტომ გამოგიგზავნი წიგნებსაც და დიდი ძალისხმევა რომ არ დახარჯო აქეთ-იქით სასარგებლო საგანთა ძიებაში, მოვნიშნავ ადგილებს, რათა უმაღვე მიაგნო იმას, რასაც ვიწონებ და რითაც აღფრთოვანებული ვარ, თუმცა დაწერილ სიტყვაზე მეტ სარგებელს მოგიტანდა ცოცხალი ხმა და გვერდიგვერდ ცხოვრება. უმჯობესია, მოხვიდე და პირისპირ მნახო, უპირველესად იმიტომ, რომ ადამიანებს უფრო მეტად თვალების სჯერათ, ვიდრე ყურების, მეორეც იმიტომ, რომ ჩევა-დარიგებით სწავლების გზა გრძელია, ხოლო მაგალითებით სწავლებისა – მოკლე და შედეგიანი.
- [6] კლეანთოსი¹¹ ალიკვალი ზენო¹² ვერ გახდებოდა, მისთვის მხოლოდ რომ ესმინა. მან ხომ მასთან ცხოვრება გაიზიარა, იხილა მისი საიდუმლოებანი და დააკვირდა, ცხოვრობდა თუ არა ზენო თავისი წეს-კანონების თანახმად. პლატონმაც, არისტოტელმაც¹³ და ბრძენთა მთელმა დასმა, რომელიც შემდეგ სხვადასხვა გზას დაადგა, სოკრატეს ზენ-ჩვეულებებიდან უფრო

¹¹ კლეანთოსი/კლეანთე (ძვ. წ. IV-III სს.) – ბერძენი ფილოსოფოსი, ზენოს უახლოესი მოსწავლე. მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ ხელმძღვანელობდა ათენის სტოკოსთა სკოლას.

¹² ზენო (ზენონი) – ამ სახელით ძველ საბერძნეთში რამდენიმე ფილოსოფოსია ცნობილი. აქ იგულისხმება სტოკოსთა სკოლის დამფუძნებელი, კვიპროსის კიფრუმის მეცნირი.

¹³ სავარაუდოდ, სენეკა შეცდომას უშვებს – არისტოტელე სოკრატეს გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ დაიბადა. საეჭვოა, იგი გულისხმობდეს, რომ პლატონს შეეძლო არისტოტელესთვის სოკრატეს ზენ-ჩვეულებათა შესახებ მოეთხრო.

მეტი ამოკრიბა, ვიდრე მისი სიტყვებიდან. მეტროდორუსი¹⁴, ჰერმარქე¹⁵ და პოლიენუსი¹⁶ დიდ ადამიანებად აქცია არა ეპიკურეს დამოძღვრამ, არამედ მასთან ერთად ცხოვრებამ. ამიტომ მოგიხმობ არა მხოლოდ იმისთვის, რომ სარგებელი მიიღო, არამედ იმისთვისაც, რომ გასცე, რადგან ერთიმეორეს უფრო მეტ რამეს შევძენთ.

- [7] ამასობაში (რადგან შენი დლიური ვალი მმართებს) გეტყვი, ამჯერად რამ მომხიბლა ჰეკატოსთან: „მეკითხები, რა წარმატებას მივალნიე? საკუთარ თავს დავუმეგობრდი“. მან ბევრს მიაღწია, ვინაიდან არასოდეს რჩება მარტო. იცოდე: ასეთი ადამიანი ყველასთვის მეგობარი იქნება.

იყავი კარგად.

¹⁴ მეტროდორუსი/მეტროდორე (ძვ. წ. IV-III სს.) – ეპიკურეს გამორჩეული მოსწავლე, რომელიც მასნავლებელზე ადრე გარდაიცვალა (მის ხელში დალია სული).

¹⁵ ჰერმარქე მიტილენიდან – ფილოსოფოსი, ეპიკურეს მოსწავლე. მასნავლებლის სიკვდილის შემდეგ, მისი ანდერძის თანახმად, სათავეში ჩაუდგა სკოლას.

¹⁶ პოლიენუსი – ძველი ბერძენი მათემატიკოსი, ეპიკურეს მიმდევარი.

7. სენეკა მიესალგება ლუკილიუსს

- [1] მეკითხები: „როგორ ფიქრობ, ყველაზე შორს რისგან უნდა გეჭიროს თავი?“ ბრბოსგან. მას ხომ უხიფათოდ ვერ მიეწოდობი. მეკი ნამდვილად ვაღარებ ჩემს სისუსტეს: ისეთი ველარ ვპრუნდები უკან, როგორიც შინიდან გავედი. რაც ჩავაწყნარე, ის კვლავ შფოთავს, რაც ჩემგან განვდევნე, ის კვლავ მიბრუნდება. ასე სჭირო სწორი სწორია – ხანგრძლივ სისუსტეს იქამდე მიჰყავს ისინი, რომ მათი გარეთ გამოყვანა ზიანის გარეშე შეუძლებელია. ასევე გვემართება ჩვენც, ვისი სულიც ხანგრძლივი სწორია შემდეგ გამოჯანმრთელდება.
- [2] მასასთან დაახლოება საზიანოა: თითოეული ადამიანი ან გვაწონებს რაიმე მანკიერებას, ან თავს გვახვევს, ან შეგვაწმენდს ჩვენგან შეუძლებელად. რაც უფრო ხალხმრავალია თავყრილობა, რომელშიც გავერევით, მით უფრო დიდია საფრთხე, თუმცა ზნეკეთილისთვის არაფერია იმაზე საზიანო, ვიდრე რაიმე სანახაობაზე უსაქმოდ ჯდომა – ტკბობისას ხომ ბინიერებანი უფრო ადვილად გვეპარება.
- [3] როგორ ფიქრობ, რას ვგულისხმობ? შინ ვპრუნდები უფრო ხარბი, უფრო პატივმოყვარე, უფრო თავაშვებული და უფრო სასტიკი და არაადამიანური იმიტომ, რომ ხალხში გავერივ. შემთხვევით მოვხვდი შუადლის სანახაობაზე¹⁷, ველოდი რაი-

¹⁷ შუადლის სანახაობა – სენეკა საუბრობს იმდროინდელ ტრადიციულ გასართობზე, როდესაც გლადიატორების ასპარეზობა დღეში ორჯერ იმართებოდა: დღისით – მხეცებთან, ნაშუადლევს – გლადიატორებს შორის. ზოგჯერ შუალედში მიმების წარმოდგენაც იმართებოდა.

მე გასართობს ან გონიერამახვილურს, სიმშვიდის მომგვრელს, რითაც თვალები ადამიანთა ხოცვა-ულეტისგან დაისვენებდა, მაგრამ პირიქით! უწინ რაც კი რამ ბრძოლა იყო, თურმე მოწყალება ყოფილა. ახლა ეს აღარ არის სახუმარო, ეს წმინდა წყლის მკვლელობაა – მათ არა აქვთ საფარველი და მთელი სხეული ლახვრის წინაშე დაუცველია, რათა ხელი არასოდეს უშედეგოდ არ აღიმართოს.

- [4] უმრავლესობა ამას ამჯობინებს ჩვეულებრივ წყვილებსა¹⁸ და მოთხოვნილ¹⁹ ორთაბრძოლებს. რატომაც არა? ხომ არ არის არც მუზარადი, არც ფარი, არც მახვილი, რომ მოიგერიონ? რა საჭიროა საფარველი ან ილეთები? ეს ყველაფერი მხოლოდ გადასწევს სიკვდილის დროს. დილით ადამიანებს ლომებსა და დათვებს მიუყრიან, შუადლისას – მაყურებლებს. ისინი უბრძანებენ მას, ვინც სხვას კლავს, პირისპირ შეხვდეს იმას, ვინც, თავის მხრივ, მას მოკლავს. გამარჯვებულს მხოლოდ ახალი სასაკლაოსთვის ინდობენ. ბრძოლის შედეგი არის სიკვდილი, ხოლო საშუალება – ცეცხლი და მახვილი. ასე გრძელდება მანამ, სანამ არენა არ დაცარიელდება.
- [5] „მაგრამ ის ხომ ავაზაკობდა, ადამიანი მოკლა!“ მერე რა? რადგან მოკლა, იმსახურებს, რომ ასე დაიტანჯოს? შენ კი, საბრალოვ, რა დანაშაულისათვის დაიმსახურე, რომ ამას უცქირო? „მოკალი! ეკვეთე! დაწვი!“ „ასე ლაჩრულად რატომ ეგებება მახვილს?“ „ასე გაუბედავად რატომ კლავს?“ „ასე უხალისოდ რატომ კვდება?“ „დაე, შეტევა ჭრილობებით დააგვირგვინოს!“ „დაე, ერთიმერორის ლახვარს შიშველი და გადალელილი მკერდი შეაგებონ!“ სანახაობის დროს შესვენებაა? დაე, ამ დროს ადამიანები ხოცონ, ოღონდ რაიმე ხდებოდეს. ნუთუ არ გესმის,

¹⁸ ე. ი. სრულად აღჭურვილი გლადიატორები.

¹⁹ ორთაბრძოლა სახელგანთქმულ გლადიატორთა შორის, რომლებსაც არენაზე მაყურებლის მოთხოვნით უშვებდნენ.

რომ ცუდი მაგალითი უკან უბრუნდება მათ, ვინც მას გას-ცემს? მადლობა უკვდავ ღმერთებს, რომ სისასტიკეს ასწავ-ლით იმას, ვისაც ამის სწავლა არ შეუძლია.

- [6] ხალხისგან თავი შორს უნდა დაიჭიროს მან, ვისი სულიც ჯერ ისევ უმწიფარია და ვისი სათნოებაც ჯერ არ განმტკიცებულა. უმრავლესობის მხარეს გადასვლა ძალზე ადვილია. მათ-გან განსხვავებულ პრბოს შეიძლება სოკრატეს, კატონისა თუ ლელიუსისთვისაც²⁰ გადაეხვევინებინა ზნეკეთილობიდან, ჩვენ შორის კი ვერავინ (როგორც უნდა ვამდიდრებდეთ ჩვენს ბუნებას) გაუძლებს დიდი ამაღის თანხლებით ბინიერების იერიშს.
- [7] თავაშვებულობისა თუ სიხარბის ცალკეულ მაგალითისაც კი მრავალი ბოროტება მოაქვს. განებივრებული თანამეინახე თანდათან ჩვენც სუსტსა და აზიზს გვხდის, მდიდარი მეზობელი ცეცხლს უნთებს ჩვენს სიხარბეს, მზაკვარი თანამგზავრი თვით ყველაზე სუფთასა და გულნრფელსაც კი გადასდებს თავის „ჟანგს“. როგორ ფიქრობ, რა მოუვა ჩვენს ზნეს, თუ მას მთელი საზოგადოება აუშედრდება? თქვენ ან უნდა მიბაძოთ მას, ან შეიძულოთ.
- [8] ერთსაც და მეორესაც უნდა ერიდო. არ შეიძლება იმის გამო დაემსგავსო ბოროტებს, რომ ბევრნი არიან და არც იმის გამო უნდა შეიძულო უმრავლესობა, რომ შენ არ გგავს. ჩაულრმავდი საკუთარ თავს, როგორც შეძლებ. დრო მხოლოდ მათთან გაატარე, ვინც უკეთესს გაგხდის. დაიახლოვე მხოლოდ ისინი, ვინც თავად შეგიძლია გახადო უკეთესი. შედეგი ორმხრივია: ადამიანები სწავლობენ, როცა ასწავლიან.
- [9] მაშასადამე, არ არსებობს მიზეზი, რატომ უნდა გიბიძგოს სიამაყემ, საკუთარი ნიჭი სახალხოდ წარმოაჩინო და სურვილი გაგიჩნდეს, რამე ხმამაღლა წაიკითხო ან იდავო, როგორც

²⁰ ეს სამი პიროვნება სენეკას ხშირად მოჰყავს მორალური გაუტეხლობის მაგალითად.